ოქმი:**ო05. 3723166001**

თარიღი:**15/06/2023**

ოქმი №4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2023 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14.30-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, ვ. ნიჟარაძე, გ. მდინარაძე, ე. გორდელაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, პ. სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

მომხსენებელმა, პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ, კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტი შედგენილია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან უმჯობესი იქნება თუ წესში ჩაიწრება მუნციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და არა მხოლოდ ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, კარგი იქნება თუ დადგენილების პროექტის ავტორები ამ წინადადებას შეათანხმებენ მერიის ხელმძღვანელობასთან და შედეგებზე ინფორმაციას მიაწვდიან საკრებულოს სხდომას. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების

მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 7 მილიონ ლარზე მეტით და მიაღწია ისტორიულ ნიშნულს- 70 მილიონ 273 ათას ლარს, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა დამატებითი თანხები, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტი შედგენილია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხობს ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი